ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ოთხშაბათი, 11 აპრილი № 1432

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ...ლებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

...ლის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ...ის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო-...ოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ТЕЛЕФОНИ № 372.**

ქართული თეატრი

კვირას, 15 აპრილს

ა რ ტ ი ს ტ ი ქ ა ლ ი

მ. გაბუნია-ცაგარლისა გამართავს წარმოდგენას მ. მ. სავარჯიშის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ხათაბალა

კომ. 4 მოქ. და 5 სურ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ...ერიძე; ბ.ბ. აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი და სხვ.

...ილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8½ საათზე.

კავკასიის სასოფლო-მეურნეობისა და მრეწველობის გამოფენა 1901 წელს.

...ოფენა გაიხსნება ტფილისში 20 აგვისტოს და შესდგება შემდეგ განყოფილებათაგან:

მიწად-მოქმედება; მეგვნახეობა და მეფეტვეობა; სანადო და საბოსტნე თესლეულობა, სანერგ...ი და ნერგები; დეკორატიული ბაღჩსნობა; ხეხილის მოშენება და შებოსტნეობა; ტეის მოგ...მოშენება; შინაური ფრინველი; მერძეობა და საქონლის მოვლა-მოშენება; მეაბრეშუმეობა და ...ეტკრეობა; მეთევზეობა და მონადირეობა; სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მანქანები; შინა და ...ეულოსნო მრეწველობა; საქარხნო მრეწველობა; სამთო მრეწველობა; საშვალგოგიო-საშრომეგსიო...ი განუოფილება; სამეცნიერო-სტატისტიკო განუოფილება; სამეცნიერო-სამოსწავლო განუო...ება; სამხატვრო განუოფილება.

გამოფენის ბიურო და კომისარიატის კანცელარია იმყოფებიან კავკასიის სასოფლო ...ეურნეო საზოგადოების სადგომში, ბარიათინსკის ქუჩაზე, და გახსნილია ყოველ დღე, ...ეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე.

პირისპირ მოსალაპარაკლებლად გამოფენის კომისარი მიიღებს მსურველთ შუადღის ...ლ საათიდან 2-მდე კომისარიატის კანცელარიის სადგომში. (ნ. 10—2)

ტფილისის კერძო

სამკურნალო.

მკურნალის გედევანიშვილისა.

...ემოფენებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დ ი ლ ი თ:

...ბ. ი. ჯიჯინაძე — კბილის სნეულებანი 8 — ...საათამდე.

...ბ. ს. გედევანიშვილი — ნერგებისა და ...ობა ელექტრობით — 9 — 10 ს.

...ბ. ა. მულინი — ყურისა, ყელისა და ცხვირი... — 11 — 12 საათამდე.

...ბ. ბ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი 10 — 2 საათამდე.

...ბ. ნ. შატილოვი — თვალისა 11 — 12 ს.

...ქიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11 — 12 ს.

...ბ. ს. გედევანიშვილი — ნერგებისა და შინა... — 12 — 1 საათამდე.

...ბ. დ. მარკევიჩი — სადოსტაქრო — 12½ ...ა საათამდე, სამშაბათობით 3 — 4 საათამდე.

...ბ. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და ...ერდესი — 1½ — 2 საათამდე.

...ბ. ბ. ბეზარგანოვი — შინაგანი და ბავშვებისა ...2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

...ბ. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი ...5 — 6 საათამდე.

...ბ. ს. ბელოგოლოვი. — შინაგანი (სტომაქის ...ომეოობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლე... — 5 — 6 საათზე.

...ბ. მადალაშვილი — კვირაობით — 10 — 12 ს.

...ამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

...ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპე...ციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ...ეში. ერთი კრაოტი დარიბთათვის უფასოა.

...ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ...ანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის ...დაპირ). ტელეფონი № 274. (წდ.)

მთავრობის ვანკარეულებანი

უმაღლესი ბრძანება სამხედრო უწყებას:

...ადაყვანილ იქმნა პოლუჩიკი ნაცვლიშვილი ...39 საარტილერიო პარკში.

სამოქალაქო უწყებას:

...ტატ გარეშე მყოფი კოლეგსკი სეკრეტარი ყი...ანი დაინიშნა პოლიციის მოხელეთა თანამდებო... კანდიდატად.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

9 აპრილი.

პეტერბურგი. 9 აპრილს პეტერბურგში მოვიდა საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასსე.

კონსტანტინეპოლი. რუსეთის ელჩი ზინოვიევი და რუსეთის აგენტი სოფიაში ბახმეტიევი სულთანმა მიიღო.

პარიზი. რადგანაც გაზეთებში სხვა-დასხვა მითქმა-მოთქმა შეიქმნა მინისტრის დელკასსეს პეტერბურგში წასვლის შესახებ, გაზეთებს ეცნობა შემდეგი ოფიციალური ნოტა: „მინისტრის დელკასსეს წასვლა პეტერბურგში, გენერალის გერდეზეკის წასვლის შემდეგ, ბრწყინვალე საბუთია არსებულის კავშირისა, რომელიც განამტკიცა და დაკანონა დრომ. თათბირი, რომელიც ექნება დელკასსეს მინისტრ ლამსდორფთან, შეძლებას მისცემს ორთავე სახელმწიფოს თანხმობით იმოქმედონ იქ, სადაც საჭირო პოლიტიკური საკითხები ჩნდება განსახილველად; პირდაპირ მოლაპარაკებით შეიძლება რამდენიმე საათის განმავლობაში უკედ შეთანხმდნენ მინისტრები, ვიდრე ათასის წერილების მიწერით. მინისტრების მოლაპარაკება დახმარებას აღმოუჩენს მშვიდობიანობის დაცვის საქმეს, რაც ითავა საფრანგეთ-რუსეთის კავშირმა ორთავე სახელმწიფოს ინტერესების დაცვასთან ერთად.

კაპშტადტი. დღემდის 456 კაცი გახდა ავად შავის-ჭირით; მათგან 186 კაცი გარდაცვლილა.

შანჰაი. ადგილობრივ მკვიდრთა მიერ მიღებულ ცნობების თანახმად იტყობინებიან, რომ ფენცეტ-საი 6000 ქვეითი ჯარის-კაცით და 2000 ცხენოსანით, რომელნიც მშვენიერად არიან შეიარაღებულნი, ამას წინად გაემართა სინანფუსაკენ.

პეკინი. პენჯაბის პოლკის ერთი როტა, რომელსაც ამ დღეებში ბრძოლა ჰქონდა სიანფუსთან, გაიგზავნა იქ შანჰაიგუანიდან ავაზაკთა ბრბოს გასაფანტავად. როტას ორი კაცი მოუკლეს და რამდენიმე დაუჭრეს. როგორც სჩანს, ჩინელები კარგად არიან შეიარაღებულნი ახალის სისტემის თოფ-იარაღით.

პრეტორია. ფრენჩის ჯარების უმთავრესი შტაბი აღმოსავლეთ ტრანსვაალიდან იოჰანესბურგში დაბრუნდა. ამბობენ, რომ ბურების სამხედრო რჩევა უიმედობამ შეიპყრო ისე, როგორც სხვა ადგილების ბურები; მაგრამ ბურების მთავრობა არავის არ აძლევს ნებას მოქმედებისას თვის დაუკითხავად. რადგანაც ფრენჩი ცოტათი უქეიფოდ არის, ამიტომ რამდენიმე ხანს მოსვენებით უნდა იქნეს.

სიდნეი. მკვიდრებმა მოჰკლეს ორი ინგლისელი მისსიონერი ფლაირივერში (ახალ გვინეაში).

ბერლინი. გერმანიის ბანკმა დასწია დისკონტი 4½% -და 4,4% მდე.

ნიუ-იორკი. მორგანი იტყობინება, რომ ნიუ-იორკის ბირჟაზე რამდენიმე საფინანსო ოპერაცია მოუხდენიათ იმ განზრახვით, რომ ინგლისის ახალი სესხის ნახევარი ამერიკაში აიღონ.

ლონდონი. „ტაიმს“-ის სიტყვით, ინგლისის ახალის სესხიდან 30 მილიონ გირვანქაზე ხელის მოწერა ჰსურთ ლონდონის ზოგიერთ უმთავრეს საფინანსო ფირმებს.

ხარრარიდან იტყობინებიან, რომ აბისსინიელებმა უკან დააწევინეს მოლლა აბდულახას. აბისსინიელებმა წაართვეს მას ათასი აქლემი, ცხენები და ცხვრები. ინგლისელთა ჯარი აღმოსავლეთიდან მიდის დოლბახანტისაკენ, საითკენაც დაიწია მოლლა აბდულახამ.

სოფია. „ბულგარიის სააგენტო“ აცხადებს, რომ ცნობა, ვითომც ბულგარიის მთავარს ფერდინანდს სთხოვეს—დაუყოვნებლივ დაბრუნდეს სოფიაში—სიმართლეს მოკლებულიაო.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდან: უკანასკნელის ცნობის მოწვდენის შემდეგ ინლისელებმა დაატყვევეს 242 ბური, წაართვეს მათ 248 თოფი, რამდენიმე ფურგუნი სამხედრო მასალით და რამდენიმე ურემი სურსათ-სანოვაგით. ბევრი ბური თავის ნებით დანებდა ინგლისელებს.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ საფრანგეთის მინისტრმა ლეგმა ამას წინად «მონსო-ლე-მინ»-ის მადნების გაფიცული მუშების დეპუტაცია მიიღო; დეპუტაციამ სთხოვა მინისტრს, რომ შემწეობა აღმოუჩინოს იმ მუშებს, რომლებსაც მადნის პატრონები აღარ იღებენ სამუშაოდაო. მინისტრი დაჰპირდათ, რომ მათ თხოვნას მადნის პატრონებს გადასცემს და თუ საჭირო იქნება, სხვა საქმეს უშოვის უსაქმო მუშებს. შემდეგ მინისტრმა სთქვა, რომ რა წამს პრეზიდენტი სამხრეთიდან დაბრუნდება, ის მოითხოვს, რომ უეჭველად განხილულ იქმნენ სხვა და სხვა პროექტები, რომლებსაც საგნად აქვთ მუშების კეთილდღეობის გაძღიერება.

✿ გაზ. «ბუდ. ჰირალდ» იუწყება, რომ უნგრეთში თათრა ოთვარობში ქვა-ნახშირის მადნების მუშებმა გაფიცვა მოახდინესო, რის გამოც მადნებში წესიერებისა და მშვიდობიანობის აღსადგენად ჯანდარმები და ჯარი გაიგზავნაო. მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც ოთხი მუშა კაცი მოკლესო. გაზეთი დასძენს, რომ დაწვრილებითი ცნობების გაგება შეუძლებელია, რადგანაც ქვა-ხშირის მადნების მმართველობა არავის უშვებს მადნებშიო.

✿ ისპანიაში ისევ დემონსტრაციებს ახდენენ იეზუიტების წინააღმდეგ. იაენში ხალხი ქვებს ესროდა იეზუიტების კოლეგიას და ეპისკოპოსის სასახლეს. მანიფესტანტები თხოულობენ, რომ აღკრძალულ იქმნას რელიგიოზური ბრიტანესიები და იეზუიტები ისპანიიდან განდევნილ იქმნენო. სხვა ადგილებშიაც მოხდა მანიფესტაციები კლერიკალების წინააღმოეგ. ნამეტნავად ბილბაოში დიდი მანიფესტაცია მოხდა. ათი ათას კაცამდე გუბერნატორთან წავიდნენ და ჩაბარეს თხოვნა, რომელშიაც ისინი თხოულობენ, რომ ეკლესია სახემწიფოსაგან განშორებულ იქმნასო და სარწმუნოებრივი საზოგადოებანი და უმთავრესად იეზუიტები განდევნილ იქმნენო. მადრიდში დიდ კრებას ამზადებენ კლერიკალების წინააღმდეგ.

✿ როგორც გაზეთები იუწყებიან, ანტიკლერიკალური მოძრაობა ბორტუგალიაში უფრო და უფრო ძლიერდება. ავეირაში ტეტხლი წაუკიდეს მონასტერს, მაგრამ ტეტხლი დაწყებისათანავე ჩაქრეს. დამნაშავეები არ აღმოუჩენიათ.

✿ გერმან. გაზ. «ლოკალ-ანცეიგერ»-ი იუწყება, რომ ამ დღეებში გერმანიაში ბერლინში დაუტუსაღებიათ ერთი ქალი, რომელსაც თავის სახლში საიდუმლოდ მოეყვანდა ბერლინის უმაღლესი საზოგადოების გათხოვილი და გასათხოვარი ქალები. ამავე სასლში თურმე საიდუმლოდ მოდიოდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები. პოლიციამ ამ სტუმრებს თურმე საზიზღარი ქმეიფის დროს მოასწრო და უეცლანი მრავალი ეტლით პოლიციის სამმართველოში გაგზავნა ვინაობის გამოსარკვევად. ამ ამბავმა ძალიან აღელვა ბერლინის საზოგადოება.

✿ «ნიუ-იორკ-ჰერალდ»-ის გაშინგტონელი კორესპონდენტის სიტყვით, ამერიკის შეკინელმა ელჩმა როგორმა შეატყობინა გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ სახემწიფოები დაახლოებით შემდეგ საზღაურს სთხოვენ ჩინეთს: რუსეთი—90 მილ. დოლარს, გერმანია—70 მილ. დოლ., საფრანგეთი—40 მილ. დოლ., იაპონია—30 მილ. დოლ., შეერთებული შტატები—25 მილ. დოლ., ინგლისი—24 მილ. დოლ., ბელგია—5,8 მილ. დოლ., იტალია, ავსტრია და ისპანია—30 მილ. დოლ.

✿ ამერიკის მთავრობამ წინადადება წარადგინა, რომ საზღაური სახემწიფოთა შორის განაწილდეს მხოლოდ იმ ჯარების რიცხვის დაგვარად, რომლებიც ყოველმა მათგანმა გამოგზავნა საელჩოების გასათავისუფლებლად. ეს პროექტი უურადღებას არ აქცევს იმ ჯარებს, რომლებიც შეკინის დაჭერის შემდეგ მოვიდნენ ჩინეთში, რადგანაც ისინი სრულებით საჭირო აღარ იყვნენ რაიმე კანონიერი და სასურველი მიზნის მისაღწევად. თუ საზღაურის განაწილება ამ პროექტის თანახმად მოხდა, მაშინ ყველაზე მეტი ინგლისს ერგება, შემდეგ იაპონიას, მერე შეერთებულ შტატებს და სხვა.

✿ გაზ. «ტაიმს»-ის სიტყვით, ნანკინის ვიცე კარროლმა წერილი მიიღო ინგლისის მთავრობისაგან, რომელიც აქებს ვიცე-კარროლის მამაცის სიყვარულს და ზნეობას და ულოცავს ჩინეთის გამარჯვებას მანჯურიის საქმეში. ეს ვიცე კარროლი დიდ როლს თამაშობდა თურმე ამ საქმეში.

✿ კუნძულ კუბის პოლიტიკურ წეს-წყობილების დამფუძნებელმა კრებამ გადასწყვიტა გაგზავნოს ვაშინგტონში ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია. ამ კომისიამ ამერიკის მთავრობასთან ერთად „უნდა ადმოაჩინოს ის საფუძველი, რომელზედაც უნდა დამყარებულ იქმნას ორივე ქვეყნის პოლიტიკური და ვაჭრული ურთიერთობა“. დელეგატებს არა აქვთ უფლება, რომ ეს საქმე საბოლოოდ გადასწყვიტონ; იმათ მხოლოდ მოხსენება უნდა წარმოუდგინონ დამფუძნებელ კრებას.

✿ გაზ. «ტანი»-ს სწერენ სოფიიდან, რომ გარეშე საქმეთა მინისტრმა კიდევ ერთხელ მიჭმართა სახელმწიფოების სადიპლომატიო წარმომადგენლებს სოფიაში თხოვნით, რათა დიდმა სახელმწიფოებმა მოსთხოვონ ოსმალეთის მთავრობას, რომ იმან რეფორმები მოახდინოს მაკედონიაში, ის რეფორმები, რომლებიც ჯერ კიდე ბერლინის ტრაკტატის მიერაა აღთქმული. ირწმუნებიან რომ რუსეთის ელჩმა ზინოვიევმა თანაგრძნობით მიიღო ბოლგარიის მთავრობის თხოვნა და თავის მხრივ მოსთხოვა ოსმალეთის მთავრობას, რომ მან დაპირებული რეფორმები შასრულოსო.

✿ გაზ. «პარი ნუველ»-ის კაკადი კორესპონდენტი ირწმუნება, რომ გამოჩენილი ამერიკელი დემოკრატები თავს აბეზრებენ კრიუგერს თავიანთ თხოვნით, რომ პრეზიდენტმა «ტრიუმფალური» მოგზაურობა გამართოს შეერთებულ შტატების უმთავრეს ქალაქებში, მაგრამ კრიუგერი ეხლანდელი გარემოებების მიხედვით ჯერ არ აპირობს ამ მოგზაურობის გამართვას. პრეზიდენტის ამად ირწმუნება, რომ ის ახლა ზავის პირობებს ელის ინგლისის მთავრობის მხრივ, რადგანაც ინგლისელი მეომარი ჯარის მდგომარეობა ამ ჟამად მეტად ცუდია.

✿ «დეილი ნიუს»-ი ურჩევს ინგლისის მთავრობას, რომ სამხრეთ აფრიკაში გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწე პირი გაგზავნოს იქაურ საქმეთა ნამდვილ მდგომარეობის გამოსაკვლევადო. გაზეთის აზრით, მთავრობამ რომ მიღწერი დროებით მაინც დაითხოვოს,—ამით საკმაოდ ამბავ იდებს ბურებსო.

✿ მარტის გასულს ზოგიერთმა ინგლისელმა გაზეთმა ცნობა გაავრცელა, ვითომ დეგეტი, დამის, ჭკვიდან შესცდესო. ამ ცნობების გამო «ტაიმს»-ი ამბობს:

«ისე დაჟინებით ირწმუნებიან, ვითომ დეგეტი ჭკუიდან შესცდაო, რომ არ შეიძლება კაცმა გურადღება არ მიაქციცს ამ ცნობას, მაგრამ ამავე დროს დეგეტი ისეთი მოხერხებით იქცევა და ისე შესანიშნავად წინამძღვრობს თავის ჯარს, რომ ყველასთვის ცხადია ამ ცნობის უსაფუძვლობა. ბურების გენიოსი სარდალი დღესაც სრულის სავსებით იჩენს თავის შესანიშნავ მკვირცხლ და გამჭრიახ გონების ძალას და მედგარ მხნეობას».

«დეილი მაილ»-ის აზრით, ხმა გენიოსი სტრატეგის სულით ავადმყოფობის შესახებ მოკლებულია ეოველ საფუძველსა. ეს გაზეთი შეჭნიშნავს: «თუნდა მართლაც გაგიჟებული იყოს დეგეტი, მაინც უნდა აღვიარეთ, რომ დეგეტი გაგიჟებულიც კიდევ დიდ ჭკუას იჩენს».

«დეილი ნიუს»-ი ამ ხმების გამო შემდეგ ამბავს იხსენებს:

«როცა ნაპოლეონ I-ის მიერ დამარცხებულ ავსტრიის გენერლებს იმპერატორი მწარედ ჰკიცხავდა, მაშინ იმათ სხვა მიზეზების გარდა, იმითაც მოიხადეს ბოდიში, რომ ნაპოლეონი გიჟიაო. «მაშ ეგრე! ნაპოლეონი გიჟია? ეგ მართალია?—წამოიძახა ავსტრიის იმპერატორმა.—ახ, ნეტავი, ერთი თქვენთვის მაინც ეგბინა».

✿ კაკაში, კრიუგერის მახლობლების წრეში, ირწმუნებიან, რომ ამ ბოლოს დროს დეგეტისაგან მშვენიერი ცნობები მოდისო; ამ ცნობების შიხედვით დეგეტი ამ ჟამად ადსავსეა მხნეობით და კეთილი იმედებით.

✿ ტრანსვაალის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთში მურჩისონის მთაში ერთ კაცს მეტად მდიდარი ოქროს მადანი აღმოუჩენია.

✿ ინგლისში ქალ. ედინბურგს ახლო (შოტლანდიაში) ამას წინად ოქროს მადანი აღმოუჩენიათ ისეთივე თვისებისა, როგორისაც იოჰანესბურგის მადანია. ეხლა ინგლისში ამბობენ, ეს მადანი რომ ორი წლის წინად გამოჩენილიყო, ტრანსვაალის დაპერობა აღარ იქნებოდა საჭირო.

✿ «მატენ»-ში დაბეჭდილია შემდეგი საუურადღებო ცნობა: «სამხრეთ აფრიკაში მკვიდრთა შორის დაიწყო მოძრაობა წინააღმდეგ თეორი (ევროპიელი) ხალხის ბატონობისა სამხრეთ აფრიკაში. მთელ სამხრეთ აფრიკაში, მეტადრე ნატალში, ქადაგებენ, რომ «აფრიკაში ჩანგები უნდა ბატონობდნენ და არა ევროპიელებიო». ცნობილია, რომ სამხრეთ აფრიკის ომის წინადვე ბურების მეთაურები წინასწარმეტყველობდნენ, რომ ომი ორ თეთრ ხალხს შუა მკვიდრებს ერთვნულ თვით-ცნობიერობას გაუღვიძებსო და ბრძოლას გაბედვინებს უველა ევროპიელების წინააღმდეგაო».

✿ სამხრეთ აფრიკის მკვიდრთა აღელვების შესახებ ინგლის. გაზეთ «დეილი მაილს» სწერენ შემდეგს: «მოძრაობა ძლიერ ვრცელდება და მისი მოსპობა—მეტად ძნელი საქმე იქნება. ადმოჩინეს შეთქმულება, რომელშიაც დიდ რიცხვს თამაშობდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები. ერთი კაცი კიდეც დაატუსაღეს, მაგრამ მოხელეები ვერა ჭბედავენ მის სიკვდილით დასჯას, ეშინიათ, რომ ამ მოძრაობის მეთაურთ წამებულის სახელი არ მოუბოვონ.

ოფიციალურის ცნობები იტყობინებიან, რომ ამ მოძრაობას მიზნად აქვს: ევროპიელების მთავრობის დამხობა და მკვიდრთა დამოუკიდებლობა».

ახალი ამბავი

✦ უწმინდესი სინოდის განკარგულებით, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსთ, ყოვლად სამღვდელო ლეონიდსა და ალექსანდრეს, ამიერიდან აღარ ექნებათ უფლება ადგილობრივ სასულიერო სასწავლებელსა და სემინარიის მართვა-გამგეობის საქმეებში მონაწილეობა მიიღონ; ხსენებული საქმე პირდაპირ დამოკიდებული იქმნება ამიერიდან მის მაღალყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის ფლავიანეს განკარგულებაზე.

✦ კვირას, 8 აპრილს, მოხდა წლიური კრება კავკასიის ექიმთა საზოგადოებისა. კრების დაწყებამდე თავმჯდომარემ ბ. არტემიევმა წარმოსთქვა სიტყვა საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ. შემდეგ მდივანმა წაიკითხა საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1900 წლის განმავლობაში. ანგარიშიდან, სხვათა შორის, სჩანს, რომ წლის განმავლობაში საზოგადოების კრებებზე წევრთ წაუკითხავთ 8 სამეცნიერო მოხსენება; წევრების რიცხვი ყოფილა 468; წლის განმავლობაში, წინა წლიდან დარჩენილ ფულთან ერთად, საზოგადოებას შემოსვლია 11 ათას მანეთზე მეტი, დაუხარჯავს 3 ათას მანეთზე მეტი; ასე რომ ეხლა აქვს 7000 მან. მეტი. დასასრულ, ექიმმა ბელოგოლოვმა წაიკითხა მოხსენება იმის შესახებ, თუ რა შეხედულებისა არის თანამედროვე მეცნიერება სიბერეზე და რა საშუალებაა მასთან საბრძოლველად პროფ. მეჩნიკოვის თეორიის მიხედვით.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტრომ დაამტკიცა კავკასიის საობრეშუმო სადგურის ხარჯთ-აღრიცხვა 1901 წლისათვის. სულ ხარჯი გამოანგარიშებულია 45 ათასი მანეთი ამ ფულიდან: 18.260 მან. გადაიდება სადგურის მოხელეთათვის და 26.740 მან. საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯებისათვის; უკანასკნელ ხარჯში ჩათვლილია: ლაბორატორიაზე, მუზეუმზე, ბიბლიოთეკაზე და სხვა—6500 მან., ჭიის გამოკვებაზე და თესლის დამზადებაზე—3420 მ., სადგურის შრომების დაბეჭდვაზე—1200 მან. და სხვა.

✦ ტფილისის გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი გუშინწინლამ დაბრუნდა ტფილისში.

✦ ამას წინად ვლადიკავკაკში არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა გადასინჯვა და შესწორება სახარების თარგმანისა ოსურს ენაზე. „ტერსკია ვედომოსტების“ სიტყვით, ამ კომისიას ერთმა ინტელიგენტმა ოსმა წარუდგინა თავისი მოსაზრებანი ოსურ სახარების შესწორების შესახებ. კომისიამ ეს მოსაზრებანი უმაფუძვლოდ იცნო და დაადგინა დატოვებულ იქმნას ისევ ძველი ტექსტი სახარებისა მცირეოდენ შეცვლით; სახელდობრ, ზოგიერთი სიტყვა უნდა შეიცვალოს და გადასხმულ იქმნას. რადგანაც საკითხი მეტად სერიოზულია, ამიტომ კომისიამ დაადგინა ამასთანავე—ბეჯითად განიხილოს კიდევ ეს საგანი და კვლავ მოახდინოს ერთი სხდომა ამ ზაფხულს.

✦ გუშინ ტფილისის გამგეობას წინადადება მოუვიდა ბაქოელ ინჟინერების ხატისოვისა და ბრაილოვსკისაგან სოლოლაკის ტუნელის და ტრამვაის გაკეთების შესახებ. ინჟენერები შემდეგ პირობებს უდებენ ქალაქს: 1) დაბახანაზე ხიდის გაკეთებას, ელექტრონის ტრამვაის და ტუნელის გაყვანას თავის ხარჯით ჰკისრულობენ; 2) ტრამვაით მოგზაურთ გადაჰხდებათ—5 კ.; 3) კონცესიის ვადა—40 წელიწადია, რომლის შემდეგ ყოველი მოწყობილობა გადავა ქალაქის საკუთრებაში; 4) ტრამვაის ორი ტოტი ექნება: ერევნის მოედნიდან ბოტანიკურ ბაღამდე და ბოტანიკური ბაღიდან აბანოების კარებამდე; 5) ქალაქს ნება ექნება, როდესაც უნდა მაშინ გამოისყიდოს ტრამვაი; ამ შემთხვევაში უნდა გადაიხადოს ყოველი მოწყობილობის ღირებულობის 10% დამატებით; 6) კონტრაგენტებს ნება ეძლევათ გადაახდევინონ ტუნელით სარგებლობისათვის ეტლებს 5 კაპ., ფეხით მოგზაურთ—2 კაპ.. გეგმას და ხარჯთ-აღრიცხვას კონტრაგენტები წარმოადგენენ მაშინ, როდესაც ქალაქი მისცემს მათ კონცესიას. ქალაქის თავმა მიანდო გამგეობის წევრს თავ. ვ. ნ ჩერქეზიშვილს—განიხილოს ეს წინადადება და შემდეგ წარმოუდგინოს ქალაქის გამგეობას.

✦ გუშინ ტფ. ქალაქის თავმა შუამდგომლობა აღძრა ტფ. გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ დამტკიცებულ იქმნან საბჭოს მიერ არჩეულნი კ. მ. ალიხანოვი და ნ. ნ. ოსტროგორსკი ქალაქის წარმომადგენლებად მომავალ გამოფენის მომწყობ კომიტეტში და ე ს. ბაბოვი—გამგე კომიტეტში.

✦ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ბ. ლინდენი ერევნის გუბერნიაში წავიდა.

✦ კავკასიის გზების მმართველობის უფროსი, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება, ვარშავაში მიდის.

✦ ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესმა მმართველობამ გადასწყვიტა გააძლიეროს მოხელეთა რიცხვი კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში. სულ მოემატება 22 მოხელე და 16 ფოსტალიონი.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო, რომ მომავალ წელს პეტერბურგში მოწვეულ იქმნას სრულიად რუსეთის ბეითალთა საზოგადო კრება ზოგიერთ საჭირო საკითხების განხილვა-გადაწყვეტისათვის.

✦ გორის ქალაქის თავმა წარმოუდგინა ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა გორში განზრახულ ქსენონისა.

✦ გენ.-მაიორი პოკროვსკი გუშინ წავიდა ყარსში.

✦ ტფილისის თვით მმართველობა აშენებს ამ ჟამად ავლაბარში ორს საავადმყოფოს ბავშვებისათვის. ორივე შენობა მზად იქნება შემოდგომამდე. სულ 40 ბავშვისათვის იქნება ორივეში ადგილი. საავადმყოფები განიყოფებიან 4 ნაწილად: ყელჭივრებით, ქუნთრუშით, დიფტერიტით და წითელათი ავადმყოფთათვის.

✦ პარასკევს, 13 აპრილს, ტფილისის გამგეობის საბჭოში დანიშნულია კრება ქალაქის პირველ დაწყებითი სკოლების გამგეთა და სკოლებისა და სასანიტარო ექიმებისა, რომლებმაც უნდა განიხილონ კითხვა სკოლებში საექიმო-სასანიტარო ზედამხედველობის მოწყობის შესახებ.

✦ საკარანტინო-სადეზინფექციო ადგილებრივ მმართველობას სანირარი შეუტანია სენატში ტფილისის ქალაქის გამგეობის იმის გამო, რომ „ოკანას ხელმა“ არ წყნარა ხელებიდან ადგილობრივ მმართველობის ტფილისის სადამოუნო საწყობების საქალაქო გადასახადებიდან განთავისუფლების შესახებ.

✦ დღეს ტფ. გამგეობის სადგომში ნიშნულია სხდომა იმ კომისიისა, რომელიც საგანად აქვს თვალ-ყურის გდება ტრამვაისა. სხდომაზე განხილულ იქნება საკითხი ტრამვაის ლიანდაგის გაუმჯობესების საჭიროების შესახებ.

✦ ტფ. საქალაქო სკოლების გამგეობისა შეიმუშავა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ავლაბარში საკუთარ სასკოლო ნობის ასაგებად. დაახლოვებით შენობა დაჯდება 12—15 ათასი მანათი; კომისია შეუდგა ამ თანხის მოპოვებას.

✦ შორაპნის მაზრის დაბა ჩხარიდან გვატყობინებენ, რომ იქ ამას წინად ერთი ტად შემზარავი ბოროტ-მოქმედება ჩაუდენიათ: დ. ჩხარის თერძი ფირანა ბრეგვაძეს გაუტყუებია ორის ვერსის მანძილზე ვიდა ბოროტ-განმზრახველს და როცა დროებით ვია, დაუცია ხანჯალი და მოუკლავს; ბოროტი სული ამასაც არ დასჯერებია. გაცვალებულის გვამზე ჩალა დაუყრია, წკიდებია ცეცხლი და დაუწვამს. ამ ბოროტმოქმედების ჩამდენი დღემდის ვერ აღმოჩენიათ.

✦ იქიდანვე გვწერენ: 2 აპრილს რაცაზე ჩხუბი მოსვლიათ დ. ჩხარის მცხოვრებთ გ. სიმონ გულოვსა და ა. ცქიტერიშვილს, რომელნიც ხანჯლითა და კეტებით ერთმანერთს სასიკვდილოდ არ ზოგავდნენ, მაგრამ ხალხი ჩაერია და, როგორც იქმნა, მოჩხუბარნი დააშოშმინეს თურმე. ამათ გამო ჩხუბი მოუვიდათ აგრეთვე ყურულოვს და ს. ფიფინოვს; როდესაც ხალხს ისინიც გაუშველებია, ყურულოვი თავის სახლისკენ წამოსულა, მაგრამ უკან გამოსდევნებია ფიფინოვი, რომელს ჯიბის დანა ჩაუცია მარცხენა გვერდში გაქცეულა. ყურულოვი ისე მძიმედ დარა, რომ იქვე წაიქცა. ექიმების შემოწმებით, ყურულოვის მორჩენა საეჭვოა. დამშავე ფიფინოვი პოლიციამ დ. ზესტაფონში დააპატიმრა. გამოძიება სწარმოებს.

✦ გუშინ, 10 აპრილს, ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის სოფ. შაშკონას მცხოვრებლების თომა, ბართხუ, დომენტი და სიკოია ბროსელიებისა, რომელთაც ბრალდებოდა ერთმანეთთან შეთანხმებით, წინასწარ მოფიქრებით, თავიანთ მეზობლის დათა პაპავას მოკვლა. ქუთაისის ოლქის სასამართლო დამნაშავედ უცვნია ოთხივე ბრალდებულნი პაჭავას იარაღით დაჭრაში და გარდაუყვეტია ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლებუპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმარგამასწორებელ რაზმში გაგზავნა თომასა ბართხუსათვის 2 წლის ვადით, ხოლო ნარჩენთათვის 3 წლის ვადით. საქმე ტფ. სამოსამართლო პალატაში განუსაჩივრებია, როგორც ბრალდებულთ, აგრეთვე ოლქ. სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგს პროტესტი გამოუცხადებია, რომ ბრალდებულნი უფრო მეტად დაესაჯნათ, როგორც წინასწარ მოფიქრებით კაცის მკვლელნი. სამოსამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი და გარდაუწყვიტა მათ ოთხის წლის ვადით მადნებში სამუშაოდ ყველივე უფლებაუპირატესობათა ჩამორთმევა და გაგზავნა. ბრალდებულთ აგრეთვე დაეკისრათ გარდაცვალებულის სახლობისასარგებლოდ სამოქალაქო საჩივრის თანხმად, 200 მანეთის გადახდა წელიწადში.

✦ ჩვენმა მკითხველებმა იციან ივ. ჯაიასა და „პურ-ღვინოს“ პატრონის ია მამინაშვილის საქმე, რომელთაგან პირველი ედავება მეორეს 16,000 მანეთს. საქმე დანიშნული იყო ოლქის სასამართლოში, სადაც მხარედ საქმე გადაადებინ

სიმართლის გამოსარკვევად, მოწმები
ეშენეს. გუშინ, 10 აპრილს, ოლქის სა-
ართლომ ჩვენება ჩარმოართვა ორივე
ეთა მოწმებს—10 კაცამდე.

განჯიდან გვწერენ: „კვირას, 8 აპ-
ს, განჯის სადგურის ახლათ აშენე-
ს თეატრში წარმოდგენილ იქმნა სცენის
ერეთაგან ქართულს ენაზე სცენის
ვებლოდ ვოდევილები „ცოლ-ქმრობის
ლმდეგი“ და „დატრიალდა ჯარა“. წა-
დგენამ კარგად ჩაიარა. სასურველია
ირ წარმოდგენები კვლავაც იმართებო-
განჯაში.“

ამ დღეებში დეპეშა იტყობინებოდა,
მთავრობამ შესცვალა წესები ოფიც-
ქორწინების შესახებ. „რუსკი ინვა-
ს“ სიტყვით, ეს ცვლილებანი შემდე-
დაქორწინების ნება ოფიცერს უნდა
ს დივიზიის უფროსმა; ქორწინებ.ს
თვის მიცემის დროს მხედველობაში
ულ უნდა იქმნას საცოლეს საზოგა-
რივი მდგომარეობა; ქორწინების ნება
ქვს იმ ოფიცერს, რომელსაც 23 წელი-
არ შესრულებია და რომელსაც ორი
წადი არ უმსახურნია იმ ქალაქში ან
ლში, სადაც ცოლის შერთვას აპი-
იმ ოფიცერს, რომელსაც 1200
ზე ნაკლები ჯამაგირი აქვს, დაქორ-
ის ნება მიეცემა მხოლოდ მაშინ,
საც წარმოადგენს მოწმობას, რომ
ვს მამული, რომლიდანაც 300 მანე-
ეტი შემოსავალი აქვს წელიწადში, ან
საც წარმოადგენს ფულად ან სარგე-
ნის ქალალდებით ხუთი ათას მანეთს.

გუშინ ტფილისის პოლიცმეისტერმა
ოვალევმა შემდეგი ბრძანება გაუგ-
პოლიციის ბოქაულებს: „ტფილისის
ბი, რომელთაც ქუჩა-ქუჩა დააქვთ ხი-
ლობა, მწვანილი და სხვა სანოვაგე,
ს 5 საათიდან შეუდგებიან ხოლმე სა-
ის ტარებას და რომ ყურადღება მი-
ონ მყიდველებისა აქებენ თავიანთ სა-
ს და ხმა მაღლა საზარლად გაჰკივიან;
ანაც იმდენად კარგი ამინდები სდგას,
ზოგიერთ მცხოვრებთ ძილის დროს
რები ღია აქვთ და ამიტომ ვაჭართა
საზარელი ყვირილი მეტად შეაწუხებს
წინადადებას ვაძლევ ყველა ბოქაუ-
რომ უსათუოდ აღეკრძალოს აღნიშ-
პირთ ქუჩა-ქუჩა საზარელი ღრიალი
ს 9 საათამდე“.

ბაქოდან გვატყობინებენ: 7 აპრილს, საღა-
საათზე, მუშათა თავშესაფარში ვიღაც ბო-
ანმზრახველებმა რამდენჯერმე თოფი გაისრო-
დასჭრეს ერთი მუშა.

განჯიდან გვწერენ: 8 აპრილს, საღამოს 11
როდესაც ვაგონების გადამბმელმა სკრიპნი-
ორი ვაგონი გააშორა ერთმანეთს და ვაგონს
ან გამოსვლა დაუპირა, ფეხი მოჰყვა ვაგონს
ა მოაშორა მუხლს ქვემოდან.

სადგურ ჩაქვიდან გვწერენ: 9 აპრილს სპარ-
ქვეშევრდომმა სიმონ ხოსროევმა მოისურვა
სახალხო მატარებელზე შეჯდომა, მაგრამ
აუსხლტა და ვაგონს ქვეშ ჩავარდა. ვაგონის
მოჰგლიჯა ფელი და ხელი. ხოსროევის
ს იმედი არა აქვთ.

ორშაბათს, 9 აპრილს, ნაშუადღევის პირველ
წყლის პირის ქუჩაზედ, კაპიტან ესაძის სახ-
ზომ ჯარისკაცებს შეუნიშნავთ, რომ მტკვარს
და ვიღაც უცნობი კაცი; ჯარის-კაცებს მაში-
ორდაპირ ნავით შეუცურავთ მტკვარში და
ენებიან კაცს საშველად; წამოსწევიან მას და
ათ ვეტცელის ლუდის სახელი ქარხანის
ქვემოდ; რადგანაც გაღმით ვეღარ მოუხერხე-
ულა, გამოღმით გამოუცურავთ და, თუმცა
ება ბევრი მოუხმარიათ უცნობი კაცის გადა-
ად, მაგრამ ცდას უნაყოფოდ ჩაუვლია და იგი
ელილა. გარდაცვალებულის გვამი ტფილისის
ბილ თეატრში გაგზავნეს. დამხრჩვალის ვი-
ერ ვერ გამოურკვევიათ.

ორშაბათს, 9 აპრილს, პოლიციის მოხელე
თან მისულა ტფილისის მოქალაქე აბრამ ი.
და განუცხადებია, რომ რკინის გზის ტფი-
სადგურზე ჩემის მაღაზიიდან გავგზავნე ორი
ერთზე იყო 23 ფუთი სპილენძი, სულ 184
ღირებულობისა და მეორეზე 30 ფუთი რკი-
მანეთის. როდესაც სადგურზე მისულა,
ქარი, გვარად ბონცარევი, აღმოჩენილა,
ებს ჩემი საქონელი დანიშნულს ადგილზე
ანიათ. პოლიციის მოხელე მაშინვე შეუდგა
საქმეს და კარგა ხნის მეცადინეობის შემდეგ კი-
დეც აღმოჩნდა ბოროტ-მომქმედი: თურმე თვით ნო-
ქარს ბონცარევს წინა დღით დაუქირავებია თუმანო-
ვის ქუჩაზედ ვიღაც სომხიევის სახლი, № 11, სადაც
მიუტანია აღნიშნული საქონელი და დაუმალავს. პო-
ლიციამ უკვე მიაგნო დამალულს საქონელს. ბონცა-
რევი მაშინვე დააპატიმრეს. გამოძიება სწარმოებს.

ქალაქის საბჭო

ორშაბათს, 9 აპრილს, ქალაქის საბჭოს
სხდომას დაესწრო 30 ხმოსნამდე. 18 საქ-
მიდან საბჭომ ამ საღამოზედ მოასწრო 10
საქმის განხილვა. პირველად საბჭოს წარედ-
გინა განსახილველად ქალაქის გამგეობის
დადგენილება, რომლითაც ნება უნდა მის-
ცემოდა მატილდა ფრანცს ალექსანდრეს
ბაღის შუა ნაწილში გაემართა პავილიონი
ჩაისა, ყავისა, შოკოლადისა და შუშხუნა
სასმელების გასასყიდად. გამგეობა თვის
დადგენილებაში, თანახმად ქ. ფრანცის თხოვ-
ნისა, 10 წლით აძლევს ბაღში მიწას მოიჯ-
ჯარადრეს ისე, რომ პირველ ორს წელი-
წადს არაფერი გარდაეხადნა ქალაქის სასარ-
გებლოდ და შემდეგ კი წელიწადში 100
მან. საიჯარო ფული, ხოლო აღნიშნულ
ვადის გათავების შემდეგ ის პავილიონი ქა-
ლაქის საკუთრებად უნდა დარჩენილიყო.
პავილიონისათვის საჭირო იქნებოდა მიწა
ზომით—სიგანით 16 არშინი, ხოლო სიგრ-
ძით—20. პავილიონში აგრეთვე მოიჯარად-
რეს ექნებოდა გამოწერილი გაზეთები,
რითაც ყველანი იქ მოსეირნენი ისარგებ-
ლებდნენ.

ქალ. თავი ევანგულოვი. ჩემის აზრით, სა-
სურველი იქნება ისეთის პავილიონის გა-
მართვა, როგორიც ყველგან ევროპის საუ-
კეთესო ქალაქებშია გამართული, მით უმე-
ტეს, რომ ამის მსურველი მასწავლებელი
ქალია, კარგის ყოფაქცევისა, რაც თავდე-
ბია, რომ იგი იმდენად რიგიანად მოაწყობს
საქმეს, რომ ტფილისის მცხოვრებთა საუ-
კეთესო ნაწილიც მიეჩვევა ალექსანდრეს
ბაღში სეირნობას.

ხმ. თაიროვი. იმ ადგილზე, სადაც ახლა
აპირობთ პავილიონის გამართვას, უხერხუ-
ლად მიმაჩნია, რადგანაც იქვე გზაა; უმჯობ-
ესი იქმნება პავილიონისათვის ბაღის ქვე-
მო ნაწილში იქმნეს დათმობილი ადგილი.
მაგრამ ისე კი, რომ დაინიშნოს საჯარო
ვაჭრობა და შეიძლება სხვა მსურველებიც
გამოჩნდნენ უფრო უკეთესის პირობებით.

სმ. ბაბოვი. მე ვეთანხმები ხმ. თაიროვ-
ის აზრს საჯარო ვაჭრობით იქმნეს გაცე-
მული ასეთის პავილიონისათვის იჯარით
ადგილი, რადგანაც ძალიან ცოტა იქნება
ქალაქის სასარგებლოდ 100 მან. მაშინ
როცა ეხლა აქ გამართული—მებუდკეები
300 მანეთამდე იხდიან.

ქალაქის თავი. მე შევეკითხე სასტუმრო
„ორიანტ“-ისა და „ბოიარსკის ნომრები“-ს
პატრონთ თუ მოისურვებდნენ ალექსანდრეს
ბაღში ასეთი პავილიონის გამართვას, მაგ-
რამ არავინ არ არის ამის თანახმა.

გ. წ. თ. ჩერქეზიშვილი. ამ შემთხვევაში
ჩვენ, გამორჩენის მხრით, არ უნდა შევხედოთ
საქმეს, რადგანაც იგი მეტად სიმპატიუ-
რი დაწესებულება იქნება ბაღის გასამშვენი-
ერებლად; რაც შეეხება საიჯარო გარდა-
სახადს, მართალია, 100 მ. მეტს არ გადიხდის
იჯარადარი, სამაგიეროდ პავილიონი შემდეგ
ქალაქს რჩება, და თუ მივიღებთ სახეში იმ
გარემოებას, რომ მისი გამართვა 2400 მ.
დაჯდება, ორთა შუა რიცხვით რომ ვიან-
გარიშოთ, ქალაქი ზარალში არ იქმნება.

ხმ. ალიხანოვმა სთქვა, რომ „სევერნი
ნომრების“ ქვეშ ვაჭრობს ლევან ადამია,
რომელიც ისე პირიანად და სუფთად ამზა-
დებს რძესა, ჩაის და სხვას, და წინადადება
რომ მიგვეცა, შეიძლება კიდეც მიიღებდა
თავზე იქ პავილიონის გამართვასაო.

ხმ. ბაღდასაროვი, მელიქ-ბეგლიაროვი
და სხვ. თანახმა არიან ქალაქის გამგე-
ობის დადგენილებისა; ხოლო ხმ. კიუჩარი-
ანცი ამბობს, რომ თითოეული ნაჭერი ად-
გილისა ალექსანდრეს ბაღში ასეთ საქმისა-
თვის გაცემა, ჩვენის მხრით, დანაშაულობა
იქმნებოდაო.

ხმ. ფრიდონოვი. ერთად-ერთი ბაღი გვაქვს
და ისიც შენობებით გინდათ აავსოთ.

ხმ. სულხანოვი. შეიმუშავეთ პირველად
გეგმა და წესი პავილიონის მოწყობისა და
შემდეგ საზოგადო ვაჭრობა დანიშნეთ მის
გასაცემად.

გ. წ. ხოსროევი. ამ რამდენიმე ხნის წი-
ნად „პურ-ღვინოს“ პატრონმა მამინაიშვილ-
მა ითხოვა ნება მიგვეცა იქ მასრესტორანი
გაემართნა და როცა გაიგო, რომ ჩვენ არ
შეგვეძლო ნება მიგვეცა მისთვის იქ მაგა-
რის სასმელების გაყიდვისა, თავი გაანება
სულ, რადგანაც, მისის აზრით, უიმოსოდ იქ
ერთი კაციც არ მივიდოდა. აგრეთვე არიან
სხვებიც და თუ ვისმე სურვილი ჰქონდა იქ
პავილიონის გამართვისა, ითხოვდნენ კიდეც
და რადგანაც არავინ სჩანს, ამიტომ, ჩემის
აზრით, კარგი იქნება დაერთოს ნება ფრანცს
გამართოს პავილიონი.

ცოტა ხნის კამათის შემდეგ საბჭომ 19
ხმის უმეტესობით წინაალმდეგ 16 ხმისა
დაადგინა არ მიეცეს ნება განსაკუთრებით
ფრანცს პავილიონის გამართვისა, არამედ
გამოწვეულ იქმნენ სხვა მსურველი პირებიც.
ამასთანავე საბჭომ გარდასწყვიტა დაევალოს
ქალაქის გამგეობას შეიმუშაოს პირობა
ბაღში პავილიონის გამართვისა და ისე გა-
მოუცხადოს მსურველთ.

შემდეგ საბჭომ ამოირჩია ხმ. ე. ს. ბა-
ბოვი, რომელმაც მონაწილეობა უნდა მი-
იღოს ქალაქის საბჭოს მხრით კავკასიის
გამოფენის გამგე-კომიტეტში. თუმცა შეუ-
დგნენ მ. ცინცაძის შუამდგომლობის განხილ-
ვას, „ლოტკის გორაზე“ ეკკლესიისათვის
ადგილის დათმობის შესახებ, მაგრამ რად-
განაც აღმოჩნდა, რომ გეგმა არ იყო წარ-
მოდგენილი ხმოსნების განსახილველად, თუ
რამდენი ადგილი იქმნება საჭირო ეკკლე-
სიისა, სკოლისა და მოსამსახურეთა სადგო-
მის ასაგებად, ეს საქმე შემდეგისათვის გა-
დაიდვა. დასასრულ, რამდენიმე უმნიშვნე-
ლო საქმის განხილვის შემდეგ, საბჭომ, გა-
ნიხილა-რა კნ. ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრან-
სკის საჩივარი ქალაქის გამგეობაზე, რომ
ძან ნება არ დართო გიორგის ქუჩის მოსა-
ხვევში ალაყაფის კარები გაეკეთებინა,
დაადგინა გარდესცეს იგი განსახილველად
კომისიას, რომელმაც ახლოს მომავალში
თავისი აზრი წარმოუდგინოს საბჭოს ამ
საქმის შესახებ.

საბჭოს სხდომა ღამის 11 საათზე და-
სრულდა.

პრესა

„კვალის“ წარსულ ნომერში დაიწყო ბ.
გომართელმა წერა და არჩევს იმ აზრებს,
რომლებიც გამოითქვა ჩვენს გაზეთში მე-XIX
საუკუნის ქართულის ლიტერატურის შე-
სახებ. ამ თავად ერთის მანდილოსანის წე-
რილს იხილავს და ულოღიკობასა სწამებს:

„წერილის თავშივე ის გვიცხადებს: ქართული
ლიტერატურა სულ უცნობია ჩემთვისო. კარგი და
პატიოსანი: არ ცოდნა—არ ცოდვაო. მაგრამ თუ
ჩვენს ლეტერატურას სრულებით არ იცნობს, პირველ-
ი—რად ლიტერატორობს, მეორე—რად სწერს თა-
ვის აზრს ისეთი საგნის შესახებ, რომელიც მას არ
გაეგება, მესამე—რა ფასი აქვს ამგვარ აზრს?“

ახირებულია, სწორედ მოგახსენოდ! აგრე
რომ ვსთქვათ, სოკრატსაც ხომ თავის
დღეში აღარა უნდა ეთქვა-რა, რაკი განა-
ცხადა, რომ—„ის ვიცი, რომ არა ვიცი-
რაო“. მე მგონია, ეგრეთი თავმდაბლობა
სრულიად გასაგებია და ამტკიცებს იმას,
რომ ეს მანდილოსანი საკმაოდ არა ჰხადის
თავისს ცოდნას ქართულის ლიტერატური-
სას, თორემ შესაძლოა ბ. გომართელზე
ნაკლებ არ იცოდეს ქართული ლიტერა-
ტურა. აი, ბ. გომართელს რომ ლიტერა-
ტურული მედიდურება არა სჭირდეს და
ცოტათი უფრო ეჭვის თვალით უყურებდეს
თავისს მეცნიერებას, ისეთს უცნაურს აზრსაც
არ წამოისროდა, ერთხელ რომ ინება:
შატობრიანი საფრანგეთში ახალგაზდა კრი-
ტიკოსებს აღარად მიაჩნიათ, მაშინ, როდე-
საც აი რასა ვკითხულობთ ჰიტი დე ბრუ-
ლევილის საფრანგეთის ლიტერატურის შე-
სანიშნავ ისტორიაში: ერთ დროს შატო-
ბრიანის სახელს ეჭვის თვალით—უყურო-
დნენ (1848—1860 წ.წ.), მაგრამ ეს ოცდ-
ათი წელიწადია, რაც მის სახელს შესა-
ფერი ნათელი მიეფინა მესამე რესპუბ-
ლიკის ყველა კრიტიკოსთა და მწერალთა
თვალშიო და დღეს მისი სახელი დიდების
უმაღლესს წერტილზედ არის დაყენებულიო.
(d. Petit de dulleville Nistoire de la l. et de la lit. fr. VII გვ. 1). აი ასეთი ცოდ-
ნით არ უნდა წარუდგეს მწერალი საზოგა-
დოებას, თუ ცოტათი არის შეგნებული
აქვს თავისი მოვალეობა.

რაიცა შეეხება ბ. ივ. გომართელის სხვა
მანერებს, მეგობრობისაკენ მათრახების ქნე-
ვასა და სხვ., თვით მისთვის მიგვინ-
დვია იმისი განსჯა, თუ რა პასუხი ეკადრე-
ბა ასეთის მანერების მიმდევარ მწერალს.

ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების კრება.

კვირას, რვა აპრილს, დავით ბაქრაძის თავ-
მჯდომარეობით, მოხდა ქუთაისის საურთიერთო
კრედიტის საზოგადოების წევრთა საზოგადო
კრება. კრებას წევრები ნაკლებად დაესწრო; ეს
აიხსნება იმითი, რომ წლის ვადა უთავდებოდა
ამ საზოგადოების თავმჯდომარეს თ. პავლე
თუმანიშვილს და რადგან იგი საკმაოდ ცნობი-
ლია, როგორც ერთგული და პატიოსანი მშრო-
მელი, მის წინააღმდეგ ეუთს არავინ იდგამს,
ხოდა როცა ქუთაისის საზოგადოება კენჭების
რახი-რუხს არ ელის, ადარ ეტანება კრებას.
სწორედ ამით აიხსნება მეორე ფაქტიც, რომ
ამ კრებისთვის ერთი გექიდობაც არ იყო წარ-
მოდგენილი. რაც შეეხება «კადისტრატიზმს»,
იგი, კარგა ხანია, ადარ იჩენს თავს ძველის
ელ-ფერით ჩვენს საზოგადო კრებებზე, მხო-
ლოდ მარტოდ დარჩენილი ბ. დიდიმ ჩიკვაიძე
კაჭკაჭივით კაჭკივის და რაც მოადგება ენაზე,
მოურიდებლად იმას გაიძახის. ამ კრებაზედაც
მთელი სადამო კრების თავჯდომარემ მის გაჩუმ-
დაწყნარებას და მასთან ჩხუბს მოანდომა. მოთ-
მინებიდგან გამოსული თავმჯდომარე იძულებუ-
ლი შეიქნა ბოდიციით გაუგანას დამუქრებოდა,
მაგრამ მისს თავ-გასულობას ვერაფერმა ბოლო
ვერ მოუდო..

კრებამ დაამტკიცა ანგარიში და ხარჯთ-აღრი-
ცხვა, რომლის შესახებ ცნობები უკვე იყო და-
ბეჭდილი «ცნ. ფურცელში», და ერთხმად დას-
ტოვა საბჭოს წევრებად დავით ბესარიონის ძე
ხელთუფლიშვილი და ალექსანდრე სიმონის ძე
სუვარელიძე; აგრეთვე დასტოვა უწინდელი
სარევიზიო კომისიის წევრები.

გამგეობის თავჯდომარედ არჩეულ იქმნა ისევ
თავ. ბ. ა. თუმანიშვილი. განხილულ იქმნა,
სხვათა შორის, საბჭოს პროექტი საზოგადო-
ების უმცროს მოხელეთ დაჯილდოების შესახებ.
საბჭოს პროექტით, ვინც მსახურებს არა ნაკ-
ლებ სამის წლისა, მათ უნდა მიეცეს ჯილდოთ
ერთი თვის ჯამაგირი და ვინც სამ წელზე ნაკ-
ლებს მსახურებს, იმათ მიეცეთ ნახევარ თვის
ჯამაგირი. კრების ბევრს წევრთაგანს ჰსურდა ეს
წარმოდგენილება ასე შეეცვალათ: ვინც მსახუ-
რებს ათი წელიწადი, მას მიეცეს ჯილდოთ ექვ-
სი თვის ჯამაგირი და დანარჩენებს მხოლოდ
თითო თვისა, მაგრამ, სამწუხაროდ, დ. ჩიკვა-
იძის მეოხებით გამოწვეულ არეულობისა და
უვირიდის მიზეზით, ვედარავინ კაიგო რომელ
კითხვაზე იყო ლაპარაკი და მიღებულ იქმნა
საბჭოს წევრთა წარმოდგენილება.

გინ—ბან.

წესი და რიგი

კავკასიის სასოფლო-მეურნეობისა და მრეწველობის
გამოფენისა 1901 წელს.

(დასასრული *)

11) საპედაგოგიო-საპროფესიანალო განყოფილების საგნები, განსაკუთრებით შინა-

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 1429.

მრეწველობისა და საპროფესიანალო სასწავლებელთა და სასოფლო სკოლების შეგირდების ნაკეთები, აგრეთვე სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებნი—ცალკე ფარდულში იქნება მოთავსებული და ფასის გადასახადისაგან განთავისუფლებული.

12) გამგე კომიტეტის მოვალეობაა უჩვენოს ექსპონენტებს ის ადგილი და ბინა, ვისაც რომელიც ექნება წინადვე მიჩენილი.

13) თუ გამოსაფენ საგნის მოთავსება განსაკუთრებულს ხარჯს მოითხოვს, ეს ხარჯი უნდა გასწიოს ექსპონენტმა, კომიტეტთან მორიგებით.

14) ვისაც უნდა გაჰყიდოს გამოფენილი საგნები იმ ფასად, რა ფასადაც თვითონა ჰსურს, უნდა გამოაცხადოს ეს გარემოება იმ ფაქტურაში, რომელსაც კომიტეტს წარუდგენს.

15) გაყიდვა საგნებისა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, რომ 5% გაყიდულ საგანში აღებულ ფულისა გადადებულ იქმნას გამოფენის სასარგებლოდ.

16) გამოფენის საგანთა ღირსების დასაფასებლად დაწესდება საექსპერტო კომისია, რომლის წევრებადაც ჩარიცხულნი იქმნებიან ისინი, ვისაც ამოირჩევს უმთავრესი საორგანიზაციო კომიტეტი, აგრეთვე ვისაც დაჰნიშნავს ბ-ნი მინისტრი მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა კომიტეტის შუამდგომლობით. საექსპერტიზოდ კომისია დააწესებს თითოეულ განყოფილებისათვის მცოდნე კაცთა პატარ-პატარა კომისიას. ამ პატარა კომისიების მოხსენებანი წარედგინება საექსპერტო კომისიას.

17) საექსპერტო კომისიის მოვალეობაა დააფასოს, რა ღირებისაა გამოფენილი საგნები და შეადგინოს დასაბუთებული ანგარიში ექსპერტიზისა. როგორც ექსპერტიზა გამოფენილის საგნებისა, ისე მისი შესახები ანგარიში უნდა დასრულებულ იქმნას 1901 წ. 1 ოკტომბრამდე, არა ამაზე გვიან.

18) ჯილდოს დანიშვნის უფლება იმის მიხედვით, რასაც დაასკვნის საექსპერტო კომისია და რა აზრსაც წარადგენს უმთავრესი საორგანიზაციო კომიტეტი, აქვს ბ-ნს პრეზიდენტს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისას.

19) ექსპონენტების დასაჯილდოვებლად შემდეგი ჯილდოებია დანიშნული: საპატიო დიპლომები, მედალები ოქროსი, ვერცხლისა და ბრინჯაოსი, საპატიო და ქების ფურცელი.

შენიშვნა. საექსპერტო კომისიის დადგენილებათამებრ, საამბერატორო კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება შუამდგომლობს დაჯილდოგებულ იქმნან ექსპონენტები უპირველესის ჯილდოთი.

20) გამოფენაზე სიარული შეიძლება ყოველ-დღე დილის 9 საათიდან საღამომდე. შესვლის ფასი იქნება პირველ სამს დღეს თითო მანეთი კაცზედ, კვირა დღეობით—ათ-ათი შაური, დანარჩენ დღეებში თითო აბაზი. ყველა სასწავლებლის შეგირდებს, თუ აღმზრდელნი თანა ჰყავთ, შეუძლიანთ უსასყიდლოდ დაათვალიერონ გამოფენა იმ დროსა და იმ დღეს, რა დროსა და დღესაც გამგე კომიტეტი დაჰნიშნავს.

21) გამგე კომიტეტს ნება აქვს, თუ შესაძლო იქნება, გამართოს ხოლმე გამოფენის დროს სეირნობა საღამოს 8 საათიდან ნაშუალამევის 1 საათამდე, და შემსვლელთ ცალკე ფასი ახდევინოს.

22) გამოფენის დროს სხვა და სხვა განყოფილებაში მცოდნე კაცნი გააცნობენ მსურველთ სხვა და სხვა იარაღს და განუმარტავენ ამა თუ იმ სატეხნიკო მოწყობილებას გამგე კომიტეტის მიერ განსაზღვრულს დღესა და დროსა.

შენიშვნა. გამგე კომიტეტი იზრუნებს და ამუშავებს სტდელთ სხვა და სხვა სამეწადმოქმედო იარაღს და მანქანას და მოაწყობს დემონსტრაციებს კითხვას, გამოფენის განყოფილებათა შესახებ.

23) ჯილდოები დარიგდება საჯაროდ გამოფენის ერთ-ერთს დღეს, რაიცა წინ და წინვე გამოცხადებული იქნება აქაურს გაზეთებში.

24) გამოფენის გათავების შემდეგ, ერთის თვის განმავლობაში მიეცემათ უკან ექსპონენტებს გამოფენისათვის წარმოდგენილი საგნები, აგრეთვე მიეცემათ მყიდველთ გამოფენის დროს ნასყიდი საგნები. გამოფენის გათავებამდე არ შეიძლება წაღება გამოსაფენ საგნებისა არც პატრონისა და არც მყიდველის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამგე კომიტეტი დაჰრთავს ამის ნებას. ერთის თვის შემდეგ გამოფენის გათავებისა უკან წაუღებელი საგნები გადაეცემა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას ანუ ბაღოსნობის განყოფილებას კუთვნილებისამებრ. გამოფენის საქმეთა გაუქმება და ლიკვიდაცია მოვალეობაა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა.

25) გამგე კომიტეტის მოვალეობაა იზრუნოს, რომ თავის დროზედ შესდგეს და დაიბეჭდოს კატალოგი გამოფენილის საგნების განყოფილებათა მიხედვით.

26) გამგე კომიტეტმა უნდა იზრუნოს, რომ შესდგეს დაწვრილებული აღწერა გამოფენისა, რომელსაც უნდა დაერთოს ის ცნობანი, რა ცნობანიც წარმოდგენილი იქნება ექსპონენტების მიერ; უნდა იზრუნოს აგრეთვე, რომ შესდგეს ანგარიში საექსპერტო კომისიისა იმ გარემოებათა ჩართვით, რა გარემოებითაც იგი ხელმძღვანელობდა, როცა თავის აზრს ასკვნიდა ამა თუ იმ საგნის შესახებ. ამის შემდეგ გამგე კომიტეტი გაუქმდება. აღწერა გამოფენისა ექსპონენტების სიითა და გამგე კომიტეტის შემოსავალ-გასავლის ანგარიშითურთ იბეჭდება საყოველთაო საუწყებლად.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! გიგზავნით-რა ჩემს მიერ შეკრებილ ფულს ქ. ერევანში მომავალ „ქართველ ქალთა სკოლის“ სასარგებლოდ, გთხოვთ გარდასცეთ დანიშნულებისამებრ.

აქვე მომყავს სია ფულის შემომწირველთა;

კნ. იულია დ. მიქელაძისამ 1 მან., ანნა ი. კასრაძისამ—1 მან., ოლღა ქ. ფარეიშვილისამ—1 მ., სოფიო ნ. ჯიოევისამ—1 მან., ანნა დ. ვარდიევისამ—1 მან., ანნა ი. ზედგინიძისამ—1 მან., ენგენია ნ. ზედგინიძისამ—50 კაპ.; მიხეილ ს. ზედგინიძემ—2 მან., ანტონ დ. ფირცხალავამ—2 მან., ივანე ნ. ზედგინიძემ—1 მან., ილია ლ. ჩხარტიშვილმა—1 მ. 25 კაპ., ალექსი დ. ფარნიევმა—1 მან., ალექსანდრე ა. კარიშუტ-დაშკევიჩმა—1 მან., თ. ივანე ი. ჩერქეზიშვილმა—1 მან., გიორგი ი. ჩხატარაიშვილმა—50 კაპ., სიმონ გოგრიძემ—50 კაპ., თევდორე შუჩუკურმა—50 კაპ., ზაქარია მეღვინეთუხუცესმა—50 კაპ., ზაქარია შენდიანიშვილმა—50 კაპ., არჩილ შალახაძემ—25 კაპ., სილოვან ხომასურიძემ—20 კაპ. და ივანე პიპიამ—10 კაპ.. სულ შესდგა 18 მან. და 80 კაპ..

ანნა ივ. ზედგინიძისა

ქ. ერევანი.

---

24 მარტს ხობის ნორმალურს სკოლაში მასწავლებლებისა, მოსწავლეებისა და ხობის მოვაჭრეების წარმომადგენლების თანადასწრებით, მამა ნესტორ სასანიამ გარდაიხადა ორმოცის პანაშვიდი დაუვიწყარის პოეტის რაფიელ დავ. ერისთავის სულის მოსახსენებლად.

ამასთანვე გაახლებთ მისს სახელზედ არსებულის ფონდის მისამატებლად ხუთ მანეთსა და ათ შაურს, ფოსტით გაგზავნაში დახარჯულის გამორიცხვით. აი სია შემომწირველთა: პავლე ცქარიამ, თენგიზ კოსტავამ, ყარამან გაბუნიამ, ვლადიმერ გაგუამ და ალექსანდრე კობახიძემ შემოსწირეს თითო მანეთი, ხოლო ანდრია პაჭკორიამ—ათი შაური.

ალექსანდრე კობახიძე

დაბა ხობის მოვაჭრე

საღამოს დეპეშები

10 აპრილი.

პეტერბურგი. პეტერბურგში ნავოსნობა დაიწყო.

საფრანგეთის საელჩოში 9 აპრილს გაიმართა სადილი 22 კაცისათვის. სადილს დაესწრო საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასე.

ლეგედიანი. შემოდგომის ნათესობა ჯეროვანია. შეუდგნენ გაზაფხულის ნათესობის შემუშავებას.

კასტრომა. ყინული თითქმის მთლად დადნა მდინარეში. იაროსლავში და რიბანსკში ვოლგა ყინულისაგან გაიწმინდა.

ტიუმენი. მდ. ირტიშს ყინული აღარ მოაქვს. მდ. ტურზე ყინული დაიძრა.

ხერსონი. ახლო-მახლო ყველგან წვიმები მოვიდა.

ვაშინგტონი აქაური ჩინეთის ელჩი ვუტინფანი ადგენს მოხსენებას ჩინეთის მთავრობასთან წარსადგენად. მოხსენებაში იგი გამოსთქვამს აზრს, რომ დროა ჩინეთმა მიიღოს გეგმა კონსერვატიულის რეფორმებისა. ელჩი იმაზედ უთითებს, რომ ჩინეთის ინტერესები მოითხოვენ წინაალმდეგობა არ გაუწიოს რეფორმებს, რომელთა შემოღებასაც უცხოელები ურჩევენ და პირიქით კიდევ უფრო გააფართოვონ ეს რეფორმები. რაც შეეხება გარეშე საქმეთა დაარსებას პეკინში, ელჩი ჰფიქრობს, რომ პასუხის გება უნდა დაევალოს მხოლოდ ერთ პირს და საჭიროდ არ სთვლის, რომ ეს პირი სამეფო გვარისა იყოს.

ბერლინი. გაზეთების სიტყვით, ორ უიარაღო გერმანელ ჯარის კაცს პაოტინფუს ახლო, სოფელში, თავს დაესხნენ ჩინელები და მოჰკლეს. მოელიან, რომ მთელი სოფელი იქნება დასჯილი. როგორც ამბობენ, ამ კაცებს დავალებული ჰქონდათ ცხენების საკვები ეშოვათ.

სოფიიდან იტყობინებიან, რომ მაკედონელთა კონგრესის თავმჯდომარემ მიხაილოვსკიმ განაცხადა, ვითომც კონგრესს სურვილი ჰქონდეს გაგზავნოს ევროპის სატახტო ქალაქებში დეპუტაცია მაკედონიის საქმეთა გამოსარკვევად. „კონგრესსო, განაგრძო თავმჯდომარემ, საზრუნველი მხოლოდ ერთი საგანი აქვს—მიიანიჭოს მაკედონიას სამართლიანი რეფორმები“.

ნიუკესტლი. ნორტუნბერლანდის მადნების საზოგადოების დელეგატთა კრებაზე მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომელშიაც გამოცხადებულია განზრახვა იმოქმედონ სხვა მადნების საზოგადოებებთან ერთად, რათა შეაფერხონ ინგლისში ნახშირის ვაჭრობა, თუ ნახშირის გაზიდვაზე ბაჟი არ იქმნება მოსპობილი.

ლონდონი. სადამოჟნო უწყების მდივანმა დეპეშით შეატყობინა ნიუკესტლის ბირჟის წევრებს, რომ ხაზინის კანცლერს განზრახვა აქვს განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ შელავათი მიენიჭოს ნახშირის იმ ვაჭართ, რომელნიც 6 აპრილამდე პირობებით შეჰკვრიან უცხოელ ვაჭრებს.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. საათანადო კითხვაზე კრონბორნმა უპასუხა, რომ ინგლისის მოთხოვნა საზღაურის რაოდენობის შესახებ ჩინეთისაგან საბოლოოდ არ არის ჯერ გადაწყვეტილი; მოთხოვნაში სახეში იქმნება მიღებული კერძო პირების ინტერესებიც. ჯერ არ შეიძლება ცნობაში მოყვანა იმისი, თუ რამდენს მოითხოვენ უცხო სახელმწიფოები ჩინეთისაგან, რადგანაც ჯერ-ჯერობით მხოლოდ მარტო ამერიკამ მოითხოვა 20 მილიონი დოლარი, დანარჩენთ კი ჯერ არ აღუნიშნავთ საზღაურის რაოდენობა. რაც შეეხება ცნობას—ვითომც რუსეთს განეცხადებინოს, რომ შეამცირებს ზარალის საზღაურის რაოდენობას იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთი შეიწყნარებს მანჯურიის შესახებ შეთანხმებას, ინგლისის მთავრობამ ამის შესახებ არაფერი იცის. არაფერი იცის ინგლისმა აგრეთვე იმ ცნობის შესახებ, ვი[illegible] რუსეთსა და იაპონიის შორის მოლაპარ[illegible] იყოს ჩინეთის საკითხის გადაწყვეტ[illegible] სახებ.

ბროდრიკი აცხადებს, [illegible] ათი კვირის განმავლობაში ინგლისს [illegible] რეთ-აფრიკაში ეხარჯება ყოველ-კვირ[illegible] მილიონი გირვანქა სტერლ.

იოკაჰამა. სეულიდან ირწმუნ[illegible] რომ კორეიის მთავრობამ სესხი აიღო [illegible] რანგეთის სინდიკატისაგან 5%-ით. რო[illegible] ამბობენ, სესხი უზრუნველ-ყოფილი [illegible] დამოკიდებულების შემოსავლით. ფულს „გაუ[illegible] ნიან კორეიის მთავრობას“ საფრანგეთის [illegible] დიკატები და რუსეთ-ჩინეთის ბანკი.

პრეტორია. ბურთა რაზმი ბოქსბ[illegible] დან, რომელიც 106 კაცისაგან შესდგ[illegible] და, მოდელლბურგის ახლო დაჰნებდ[illegible] გლისელებს ფურგუნებითა და თოფ[illegible] ღით.

რედაქტორი ალ. ზეინალ. | გამომცემელ[illegible] ალ. ჯაბადარ

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 6 აპრილს.

ფექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93
ბერლინზე 100 მარკაში.	45
პარიზზე 100 ფრანკში	37
ლონდონზე ჩეკები	94
ბერლინზე „	46
პარიზზე „	37
ბირჟის დისკონტი	$5^3/_4$,—

	მყიდვ.	გამყ.
	ფ ა ნ ა	
4% სახელმწიფო რენტა. . . .	96	—
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	[illegible]
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა.	—	96
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$349^1/_2$	—
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . .	$285^1/_2$	—
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	—
$3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	$88^5/_8$	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	$92^1/_2$	—
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	$86^1/_2$	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურკლ	—	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	93	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	93	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	$84^1/_2$	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლ[illegible]

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდ[illegible] ქოში გადის კვირაში ერთხელ—ოთხშაბა[illegible] დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ჩადის სადგოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტ[illegible] სში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 4[illegible] ტფილისში ჩამოდის სადგოს 8 ს. 12 [illegible] ს. 10 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან [illegible] ლისში გადის დამის 11 ს. 15 წ. (12 [illegible] წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის [illegible] 35 წ. (6 სასთ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუ[illegible] დის სადგოს 6 სასთ. 30 წ. (7 ს. 2[illegible] ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 [illegible]

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან [illegible] ლისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. [illegible] 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 [illegible] (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბ[illegible] გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), [illegible] ში ჩადის სადგოს 9 ს. 11 წ. (10 [illegible]

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათ[illegible] ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. [illegible] 54 წ.), ტფილისში ჩადის სადგოს 8 [illegible] (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან [illegible] გადის სადგოს 9 ს. 22 წ. (10 ს. [illegible] ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 [illegible]

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Апрѣля 1901 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბისა, ვანქის დიდი ქუჩა, № 27.